ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 9

ქ. ონი 25. 10. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ორდინიძე, ბესიკი მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, მერაბ ბიჭაშვილი, ნონა მაისურაძე, ნინო გობეჯიშვილი, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: გიორგი მეშვილდიშვილი, თამაზ მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, ნოდარ ბურდილაძე.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ლ ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლ ორდინიძე- კომისიის თავმჯდომარე/

ლ. ორდინიძემ სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე